



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება განცხადება N2

21 მაისი, 2008, 19:00

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობს არჩევნების დღის დაკვირვებას. 19:00 საათისთვის ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა შემდეგი სახის დარღვევები:

ამომრჩეველთა აქტივობა

12:00 – ამომრჩეველთა აქტივობა იყო 21.4 %

17:00 – ამომრჩეველთა აქტივობა იყო 40.8 %

დამკვირვებლებზე ზეწოლა

ზეწოლა განხორციელდა ორგანიზაციის დამკვირვებლებზე შემდეგ საარჩევნო უბნებზე:

#21 გარდაბნის საარჩევნო ოლქის #59 საარჩევნო უბანზე.

#32 გორის საარჩევნო ოლქის #91 საარჩევნო უბანი, #4 კრწანისის საარჩევნო ოლქის #31, #30, #29 საარჩევნო უბნებზე. „სამართლიანმა არჩევნებმა“ მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეაგირებისათვის.

დამკვირვებელზე ზეწოლის ფაქტი დაფიქსირდა ასევე # 22 მარნეულის საარჩევნო ოლქის # 37 საარჩევნო უბანზე.

თავისუფალი დაკვირვების საშუალება შეეზღუდა ჩვენს დამკვირვებელს #79 ბათუმის საარჩევნო ოლქის #75 საარჩევნო უბანზე.

#81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის #2 საარჩევნო უბანზე განხორციელდა ზეწოლა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელზე. დამკვირვებელს დაურეკეს და მოსთხოვეს დაეტოვებინა უბანი.

პროცედურული დარღვევები საარჩევნო უბნებზე

#51 ზესტაფონის საარჩევნო ოლქის #27 საარჩევნო უბანზე საარჩევნო ყუთი მოთავსებულია სხვა ოთახში, ხოლო რეგისტრატორები განთავსებულნი არიან სხვა ოთახში, ამასთან არ საარჩევნო უბანი.

59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის # 88 საარჩევნო უბანზე, რეგისტრატორმა 30 ამომრჩეველზე გასცა მხოლოდ მაჟორიტარული ბიულეტენები, რაც გულისხმობს იმას, რომ ამომრჩევლებს გადაეცათ 2-2 მაჟორიტარული ბიულეტენები და საერთოდ არ გადაეცათ პროპორციული ბიულეტენი. უბანზე დაიწერა საჩივარი.

#22 მარნეულის საარჩევნო ოლქის #71 უბანზე ყუთი არ იყო დალუქული და ისე მიმდინარეობდა კენჭისყრა. უბანზე დაიწერა საჩივარი.

#22 მარნეულის საარჩევნო ოლქის #82 საარჩევნო უბანზე გაფუჭდა მარკირების შემოწმების აპარატი.

#22 მარნეულის საარჩევნო ოლქის #37 საარჩევნო უბანზე ამომრჩევლები შედიოდნენ შემოხაზული ბიულეტენებით და პროცესს ვერ აჩერებდა ორგანიზაციის დამკვირვებელი. რეაგირება არ მოჰყოლია საარჩევნო კომისიის მხრიდან. უბანზე დაიწერა საჩივარი.

9 ნამალადევის საარჩევნო ოლქის # 41 საარჩევნო უბანზე მარკირების სითხე უხარისხოა.

#22 მარნეულის საარჩევნო ოლქის #76 უბანზე ბიულეტენების უმეტეს ნაწილს არ ამოწმებენ ბეჭდით და ხელმოწერებით.

ბეჭდით დაუმოწმებელი ბიულეტენები წაიღეს გადასატანი ყუთით #81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის #21 საარჩევნო უბნიდან.

ბეჭდის დამოწმების გარეშე მიიტანეს გადასატანი საარჩევნო ყუთით მიღებული ბიულეტენები # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 21 საარჩევნო უბანში.

ამომრჩეველთა სიები

#59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის #13 საარჩევნო უბანზე სიის დანართის შედგენა დაიწყო კენჭისყრის დღეს.

#12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის #1 საარჩევნო უბანზე, #4 კრწანისის საარჩევნო ოლქის #3 და #30 უბნებზე, სიის დანართში მყოფი ამომრჩევლები არ არიან მითითებული ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

#83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის ციხის უბნის სპეციალურ სიაში 60-მდე ციხის თანამშრომელია შეყვანილი, გარდა ამისა 34 უმისამართო ამომრჩეველი, ხოლო უშუალოდ განსასჯელები 227 ადამიანი.

#81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის #10 საარჩევნო უბანზე რეგისტრატორები წინასწარ აკეთებდნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში მისამართების მითითებას და წინასწარ ინიშნავდნენ ხელმოსაწერ ადგილს.

გრძელდება ზეწოლა #79 ბათუმის საარჩევნო ოლქის #49 საარჩევნო უბნის დამკვირვებელზე.

ხმის მიცემის პროცედურა

პირადობის მოწმობების მოთხოვნის გარეშე ხმის მიცემის ფაქტები დაფიქსირდა:

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 4 საარჩევნო უბანზე;

54 სამტრედიის საარჩევნო ოლქის # 28 საარჩევნო უბანზე.

რეგისტრაციის მოწმობის გარეშე მიიღეს მონაწილეობა კენჭისყრაში ორმა ამომრჩეველმა #9 ნამალადევის საარჩევნო ოლქის #10 საარჩევნო უბანზე. ამასთან ეს პიროვნებები არ არიან რეგისტრირებულნი ერთიან ამომრჩეველთა სიაში. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა #9 ნამალადევის საარჩევნო ოლქის # 92 საარჩევნო უბანზეც.

ორი ამომრჩევლის კაბინაში ერთდროულად ხმის მიცემის ფაქტი დაფიქსირდა #84 ხულოს საარჩევნო ოლქის #40 საარჩევნო უბანზე. ასეთ ფაქტებს მასიური ხასიათი აქვს #22 მარნეულის საარჩევნო ოლქში.

სხვის მაგივრად ხმის მიცემის ფაქტი დაფიქსირდა #79 ბათუმის საარჩევნო ოლქის #75, #52 საარჩევნო უბნებზე. ასეთი ფაქტები დაფიქსირდა #22 მარნეულის საარჩევნო ოლქშიც.

სხვა მისამართით ხმის მიცემის ფაქტი დაფიქსირდა #59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის #90 და #10 გლდანის საარჩევნო ოლქის #18 საარჩევნო უბნებზე.

ხმის მიცემის მცდელობა სხვისი პასპორტის მეშვეობით დაფიქსირდა #60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის #6 საარჩევნო უბანზე; #81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის #2 საარჩევნო უბანზე, #85 ლიახვის საარჩევნო ოლქის #3 საარჩევნო უბანზე, #70 ფოთის საარჩევნო ოლქის #14 საარჩევნო უბანზე.

#59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის #23 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც უბანზე მისულმა ამომრჩეველმა აღმოაჩინა, რომ მისი ოჯახის წევრის ნაცვლად უკვე სხვას ჰქონდა ხმა მიცემული. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა #9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის #41 და #21 საარჩევნო უბნებზე და #79 ბათუმის საარჩევნო ოლქის #33 უბანზე.

ლიად ხმის მიცემის ფაქტები დაფიქსირდა #61 ლანჩხუთის #21, #37 და #4 საარჩევნო უბნებზე.

არეულობა საარჩევნო უბნებზე

კენჭისყრის მიმდინარეობისას არეულობა დაფიქსირდა შემდეგ საარჩევნო უბნებზე:

#15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის #18 საარჩევნო უბანზე;
#35 ხაშურის საარჩევნო ოლქის #29 საარჩევნო უბანზე;
#22 მარნეულის საარჩევნო ოლქის #37 საარჩევნო უბანზე;
#21 გარდაბნის საარჩევნო ოლქის #59 უბანზე;
#10 გლდანის საარჩევნო ოლქის #34 საარჩევნო უბანზე;
#63 აბაშის საარჩევნო ოლქის #6 საარჩევნო უბანზე;
#11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის #47 საარჩევნო უბანზე (საბოლოოდ საგარეჯოს #47 საარჩევნო უბანი დაიხურა);
#15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის #21 საარჩევნო უბანზე მოხდა არეულობა, რის შემდეგაც საარჩევნო დოკუმენტაცია (ამომრჩეველთა სიები) ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელ ქეთინო ტალახაძის ხელში აღმოჩნდა. ამ ფაქტის გამო კენჭისყრის პროცესი შეწყდა აღნიშნულ უბანზე. ამჟამად ლეიბორისტული პარტიის წევრი დაკავებულია.

#55 ხონის საარჩევნო ოლქის #5 საარჩევნო უბანზე მოხდა ინციდენტი საარჩევნო ადმინისტრაციასა და გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელს შორის.

#11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის #40 და #49 საარჩევნო უბნები დატოვეს ყველა კომისიაში შემავალი იპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა, იმ მიზეზით, რომ მათი განცხადებით უბნები წინასწარ გაყალბებული იყო.

მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა #15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის #18, #19 და #20 საარჩევნო უბნებზე, სადაც საარჩევნო უბნის ოპოზიციურმა წევრებმა დატოვეს უბნები.

აგიტაცია საარჩევნო უბანზე

#22 მარნეულის საარჩევნო ოლქის #15 საარჩევნო უბანზე აგიტაცია ხორციელდება #5 პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ.

#60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის #5 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა აგიტაცია მმართველი პარტიისა და მაჟორიტარული კანდიდატის სასარგებლოდ პოლიციელის მხრიდან.

#9 ნამალადევის საარჩევნო ოლქის #10 საარჩევნო უბნის კარებში პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს სპორტსმენთა კავშირის" აქტივისტი ეწევა აგიტაციას თავისი პარტიის სასარგებლოდ.

ჩაყრა

ბიულეტენების ჩაყრა განხორციელდა:

#37 ახალციხის ოლქის # 4 საარჩევნო უბანში;

#83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის #51 საარჩევნო უბანზე.

სხვა

#67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მიმავალ 2 ავტობუსს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც დაზარალდნენ ამომრჩევლები. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე #67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის #52 უბნის კომისიის წევრებმა დატოვეს საარჩევნო უბანი რასაც მოჰყვა უბნის დახურვა.

საჩივრები

ამ ეტაპისათვის „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეიტანა დაახლოებით 50-ზე მეტი საჩივარი.

